ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

ვიკიპედია სასწავლო პროცესში

[1]ფიქრია სიდამონიძე, [2]ჯაბა ლაბაძე
[1]ისტორიის მასწავლებელი. რუსთავი. მე-12 საჯარო სკოლა
[2]ისტორიის მასწავლებელი. დაბა სურამის მე-2 საჯარო სკოლა

ანოტაცია

სწავლების პროცესი საკმაოდ რთული და შემოქმედებითი პროცესია. ყველანაირი შემოქმედებითი პროცესი ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. თანამედროვე საზოგადოებაში პედაგოგისადმი წაყენებული მოთხოვნები საგნის ცოდნასა და ამ საგნის სწავლების მეთოდიკამდე დაიყვანება. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხერხები და მეთოდები სწავლების პროცესში, არა მხოლოდ ისტორიის გაკვეთილზე. განხილულია ის ხერხები, რომლებიც შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სხვადასხვა საგნებთან ერთად კომბინირებული სწავლების მთელ ჯაჭვში. კერძოდ, როგორ გამოვიყენოთ ისტ-ი ტექნოლოგიები , უცხო ენების ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, სხვადასხვა საგანში არსებული ცოდნის განსამტკიცებლად და ახალი ცოდნის მისაღებად. ვფიქრობთ, ამ აქტივობების გამოყენება ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას მოსწავლეებში.

საკვანძო სიტყვები *- სტატიები, ისტ-ი, ვიკიპედია.*

მოსწავლეებს ხშირად სჭირდებათ დამატებითი საგანმანათლებლო მასალების ძიება ინტერნეტ-სივრცეში. ახალ სახელმძღანელოებში ბევრგან არის გაკვეთილების ბოლოში მითითებული ინფორმაცია: **მოიძიეთ მასალა ინტერნეტში...** ყველაზე ხშირად ბავშვები მიმართავენ პროგრამა "ვიკიპედიას", რადგან ეს გახლავთ ყველაზე დიდი ონლაინ-ენციკლოპედია მსოფლიოში. დღეს ქვეყნის ერთგვარი პრესტიჟიც კი არის საკუთარ ენაზე ასეთი ენციკლოპედიის ფლობა, რადგან ის არის თავისებური ფორმა საკუთარი ენის, ისტორიის, კულტურისა და სხვა უამრავი საკითხის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საშუალებისა და ასევე, ფორმა მსოფლიოს მრავალი მიმართულებით გაცნობა-შესწავლის საშუალებისა. თუმცა ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ინფორმაციის ნაკლებობა იყო ადრეც და სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახლაც.

ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვით მოგითხროთ ვიკიპედიის დანიშნულებისა და სიკეთის შესახებ. ინფორმაციული, ფოტოგრაფიული, ქრონოლოგიური და სხვა მრავალი ღირსებით განსაკუთრებით გამოირჩევა ინგლისური ვიკიპედია. ქართული ვიკიპედია სულ რაღაც 10-ოდე წელია არსებობს და სტატიების დიდი სიუხვით და მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ის ძალიან ღარიბია ტექსტებით, შინაარსობრივი მხარით, ასევე ფოტომასალით, ბევრია გრამატიკული შეცდომით სავსე ტექსტები. მას სჭირდება გასწორება, განახლება, შევსება და გამდიდრება, როგორც ტექსტებით ასევე, ფოტომასალით, ცხრილებით, დიაგრამებით და ა.შ. სრულიად მარტივი კვლევითაც კი საკმარისია დავრწმუნდეთ ამ სიმართლეში, თუ უბრალოდ დავათვალიერებთ ან შევამოწმებთ სტატიების ხარისხსა და რაოდენობას სხვადასხვა ენებზე. მაგ:

ISSN 1512-1801

ინგლისურენოვანი ვიკიპედია მოიცავს 4,622,137 სტატიას, გერმანულენოვანი - 1.765.391, რუსულენოვანი - 1 155 074, სომხური - 135 263, აზერბაიჯანული - 101.108 , ქართული - 85,612 და სხვ. ამის მიზეზია, კადრების ნაკლებობა მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა. გარდა ამისა, დღეს ამ საქმის კეთება აბსოლიტურად უანგარობაზე და ქვეყნისათვის თავდადებაზეა დაფუძნებული. დამეთანხმებით, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები შექმნიან დღეს სამშობლოსთვის უსასყიდლოდ რაიმეს.

თავის დროზე აქ მუშაობა იმიტომ დავიწყე, რომ გული დამწყდა მისი "გაჭირვების" გამო. დაახლოებით 2 წელია, რაც ვმუშაობ ამ სფეროში და ამ ხნის მანძილზე სულ ვთვლი, რომ ვიკიპედიის სრულყოფა ყველა ქართველის საპატიო მოვალეობაა. ეს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია, როგორც თავის დროზე იაკობის "დედა ენის" შექმნა იყო. მოგეხსენებათ, ქართველი ბავშვები დღეს ძირითადად, ინფორმაციას მხოლოდ ინტერნეტში ეძებენ და თუ იქ მასალა არ იქნება, მაშინ?...

თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა, პროგრამაში მუშაობა, სანამ გავიგებდი და დავაზუსტებდი წესებს, რასაც მოითხოვს მისი ცოდნა. საშინელი ლაბირინთივით მეჩვენებოდა ყველაფერი შიგნით, მაგრამ თვითონ ვიკიპედიელები აღმოჩნდნენ გულისხმიერები და დღესაც, ხშირად მასწავლიან იმას, რაც ჯერ კიდევ არ ვიცი. ამ მხრივ, ჩემს დაოსტატებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სურამის მე-2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ჯაბა ლაბაძეს, რომელსაც მე პირადად აქამდე მხოლოდ ვირტუალურად ვიცნობ და ამ კონფერენციაზე შედგება ჩვენი პირველი უშუალო შეხვედრა. იგი უკვე შვიდი წლის მანძილზე მოღვაწეობს ამ სფეროში და 8 ათასამდე სტატია აქვს შექმნილი, რომელთაგან ბევრს მინიჭებული აქვს რჩეულის სტატუსი. ამჟამად, მისი ყველაზე ვრცელი სტატია ქართულ ვიკიპედიაში არის ”იმერეთის სამეფო”. სიმართლე რომ გითხრათ, კეთილი შურით მშურს მისი. ვცდილობ, დავეწიო, მაგრამ ვერ ვახერხებ. თუმცა მოკრძალებულად ვიტყვი, რომ 2 წლის მანძილზე მე პირადად შევქმენი 250-მდე დიდი და პატარა სტატია. განსაკუთრებული წვლილი მიმიძღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისტორია-გეოგრაფიის სტატიების შექმნაში. ეს საქმე დიდ სიამოვნებას მანიჭებს დღემდე და შემიძლია ვთქვა, რომ იგი ჩემი ჰობი გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ძალიან ვიამაყებ ამ საქმეში ჩემს მიერ გაღებული წვლილით.

ბოლო დროს, წარმატებებს მივაღწიე ფოტოების ატვირთვაში. მინდა ქართული ვიკიპედიის ფოტოფონდი შეივსოს. არ მსიამოვნებს მისი გაღატაკებული და საცოდავი მდგომარეობა.... ფოტოებს სხვადასხვა ხერხით მოვიპოვებ ხოლმე. მეტწილად სხვებს ვთხოვ დახმარებას. ამ მიზნით, არ ვერიდები, შევაწუხო უცხო ადამიანები საერთო კარგი ქართველური საქმისათვის და ისინიც სიამოვნებით შემომიერთდებიან ხოლმე, როდესაც ავუხსნი ჩემს მიზანს. ასეთი "შეწუხებული" ადამიანები ბევრი მყავს უკვე,

ISSN 1512-1801

რომელთაც დაუნანებლად გაიმეტეს თავისი "შემოქმედება" საერთო საქმისთვის. მაგალითად, აქამდე ავტვირთე

1. ამერიკის რეგიონის ფოტოები ერთ ამერიკელი ქართველის საკუთრება, რომელსაც მხოლოდ ვირტუალურად ვიცნობ ქსელში კუ იბერიელის ფსევდონიმით.

2. ჩემი მამიდაშვილის, მარიამ მახარაშვილის საკუთრება - არაჩვეულებრივი ფოტომასალა სტამბულის ღირსშესანიშნაობების შესახებ.

3. ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანის ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.

4. ჩემი მეზობლის, თამარ ვარდიაშვილის საკუთრება - ტაო-კლარჯეთის ფოტოები და სხვ.

თუმცა, ეს არ არის საკმარისი. ეს ყველაფერი გიამბეთ იმიტომ, რომ რამდენიმე ათეული ადამიანის შრომა ძალიან ცოტაა ამ საქმის წარმატებით განხორციელებისათვის. ჩვენ, პედაგოგებს შეგვიძლია დიდი წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში და ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დავიჭიროთ. ვფიქრობ, რომ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო საქმე და თუ მისი კეთებაში ჩავრთავთ მოსწავლეებს, ეს იქნება საშუალება, როგორც მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლისათვის, ასევე დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის კეთებისათვის. ამ მიზნით შევქმენით პროექტი: "მე და ვიკიპედია", რომლის მიზანია ბავშვების ჩართვა ამ პროცესში და მათ მიერ

1. ქართული ვიკიპედიის გამდიდრება საინფორმაციო მასალებით
2. ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა სახის ინფორმაციების მოძიება, თარგმნა და ცოდნის გაღრმავება
3. უცხო ენების არსებული ცოდნის განმტკიცება და ლექსიკის გამდიდრება ახალი სიტყვებით
4. ისტ-ი უნარების განმტკიცება და ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების შექმნა

სარგებელი მოსწავლეებისათვის: პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა განივითარონ ინფორმაციის მოძიება-დაზუსტება-გავრცელების, წერითი კულტურის, დამოუკიდებელი სწავლის, საკუთარი და სხვისი შრომის დაფასების, პატრიოტული სულისკვეთების, ტექსტზე მუშაობის, ისტ-ი პროდუქტების შექმნის და სხვ. უნარები. ისინი განიმტკიცებენ არსებულ ცოდნას, გაიფართოებენ ახალი ინფორმაციებით, განივითარებენ სხვადასხვა სახის უნარებს. სტატიები ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის ფართო წრისათვის. მოხდება პროგრამა "ვიკიპედიის" მჭიდროდ დაკავშირება სასკოლო ცხოვრებასთან. ფაქტიურად, ხელი შეეწყობა და ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდება საგნები და საგნობრივი ჯგუფები. ესე იგი მოხდება ინტეგრირებული სწავლება.

პროექტის გამოცხადებისთანავე, მასში ჩაერთო ორი სკოლა: ქ. რუსთავის მე–12 საჯარო სკოლა (პედაგოგები: ფიქრია სიდამონიძე, მარინა სარიშვილი, ელზა

ISSN 1512-1801

ბაგალიშვილი, ზარა საპონჯიანი) და დაბა სურამის N2 საჯარო სკოლა (პედაგოგები ჯაბა ლაბაძე, ნინო წვერავა, მანანა გოგოლაძე, ია ლომსაძე, ლაურა გაწერელია, ეკა სამსიანი, მანანა ლომსაძე). მოგვიანებით თანდათან გვიერთდებიან დამატებით რუსთავის მე-13 და მე-16 სკოლები, თბილისის 94-ე სკოლა.

შედეგი: დაახლოებით ერთ თვეში უკვე თარგმნილია სტატიები ინგლისური და რუსული ენებიდან. გამზადებულია ვიკიპედიაში ასატვირთად. ამჟამად აქტიურად ჩავრთეთ მე-5/მე-6 კლასები პროექტში. პროგრამულად ამ კლასებს ევალებათ ვორდში მუშაობის შესწავლა, რისი გამოყენებაც გადავწყვიტეთ ვიკიპედიის სასარგებლოდ. დავიწყეთ მუშაობა ლადო ასათიანის პოეზიის აკინძვაზე ვიკიპედიაში. სულ მალე დაიწყება მეორე ეტაპი, რომელიც უკვე სტატიების ვიკიპედიაში ატვირთვასთან არის დაკავშირებული. სურამის მე-2 სკოლაში, ბატონი ჯაბას გადმოცემით, ამ ეტაპზე, ერთი თვის განმავლობაში, მოსწავლეებმა უკვე გადათრაგმნეს 100-მდე მცირე თუ დიდი სტატია ოსმალეთის ისტორიიდან. დაიწერა, სტატიები დღევანდელი ესპანეთის შემადგენლობაში შემავალი ისტორიული ქვეყნების მეფეთა შესახებ, ეგვიპტის ფარაონების შესახებ. მომავალში აპირებენ დაწერონ ის სტატიები, რომლებიც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესთანაა დაკავშირებული. პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე მათ შექმნეს თავიანთი ფეისბუქ-ჯგუფი უკეთესი კოორდინაციისათვის. (ამ იდეას ჩვენც გავიზიარებთ, რასაკვირველია) ყოველი კვირის პარასკევს თურმე ჯგუფში ვრცელდება დასაწერი სტატიების ნუსხა, იქვე ირჩევენ ბავშვები თემებს სურვილისამებრ. მოსწავლეები დამოუკიდებლად თარგმნიან სტატიებს ინგლისური და რუსული ვიკიპედიებიდან და ტექსტის გამართვაზე მუშაობენ ქართულის, ინგლისურისა და რუსულის პედაგოგებთან ერთად. გამზადებული მასალა მოდის მასწავლებლამდე, ანუ ჯაბამდე და ხდება მისი ატვირთვა ვიკიპედიაში უკვე ჯაბას დახმარებით. სტატიების თარგმნის პერიოდში, მის ენობრივ გამართვაზე მუშაობის დროს და ტექსტის ვორდში ბეჭდვის პროცესში ხდება აღნიშნული მასალის დამახსოვრება, მოსწავლეები ერთი პროექტის ფარგლებში ივითარებენ მთარგმნელობით უნარებს, სწავლობენ წინადადებების გამართვას, სწავლობენ ისტორიას, იმუშავებენ ისტ-უნარებს და რაც მთავარია, ქმნიან ინტერნეტ-ენციკლოპედიას, ზრუნავენ მომდევნო თაობებისათვის, რომლებიც გამოიყენებენ მათ სტატიებს. ბავშვებმა იციან, რისთვის ქმნიან საკუთარი შრომის ნაყოფს და ამ ყველაფერს დიდი სიამოვნებითაც აკეთებენ.

ცნობისათვის, სომხეთში მიმდინარეობს ასეთი კამპანია - "ერთი სომეხი - ერთი სტატია!" სომხური ვიკიპედიის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის. აღნიშნულ კამპანიას მათი მთავრობის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა აქვს. ჩვენთან რამდენიმე დღის წინ წავიკითხე, რომ ამ ეტაპზე ახალგაზრდების მიერ ქსელში ქაოტურად მიმდინარეობს განხილვა - როგორ ჩართონ სტუდენტური თვითმმართველობები ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში. და ბოლოს, აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და ყველას გთხოვოთ, (ვისაც ეს ძალგიძთ) დაგვეხმაროთ და გვიშუამდგომლოთ ხელისუფლებასთან, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში მხარი დაგვიჭირონ. ამ პროექტის განვითარება დაკავშირებულია ასევე, ეკონომიურ

ISSN 1512-1801

დანაზოგთანაც. ამდენი თემები რომ იქნება დაგროვილი ვირტუალურ სივრცეში, ეს ხომ მილიონობით მანეთის დაზოგვასაც ნიშნავს სახელმწიფოსთვის, თუ კი სახელმწიფო იზრუნებს, რომ სკოლებში ჰქონდეს კარგად განვითარებული ინტერნეტ-ქსელი? მას აღარ დასჭირდება ერთხელ ჩატვირთული ინფორმაციის ყოველ წელიწადს ცვლა, დამატებითი ბეჭდვა სახელმძღვანელოებისათვის, რუკებისათვის და ა.შ. ხარჯების გაღება. ეს დაკავშირებულია ასევე, ჯანმრთელობის პრობლემებთან, რომ ამხელა სიმძიმის წიგნების ტარება უჭირთ მოსწავლეებს სკოლებში. და ბოლოს, ვფიქრობ, ერთგვარად ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელიც კი არის ვირტუალურ წიგნებთან, რუკებთან და სხვა სასწავლო მასალებთან ურთიერთობა ბავშვებისათვის.

როგორ შეიძლება გამოიყენონ ვიკიპედია ფილოლოგებმა, უცხო ენების პედაგოგებმა და კიდევ სხვებმა?..

როგორ შეიძლება გამოიყენონ დამრიგებლებმა, ხელოვნების მასწავლებლებმა და სხვებმა?



ISSN 1512-1801

როგორ შეიძლება გამოიყენონ ვიკიპედია გეოგრაფიის მასწავლებლებმა?



როგორ შეიძლება გამოიყენონ ვიკიპედია ისტორიკოსებმა?